*დანართი*

**საერთაშორისო სასწავლო ვიზიტებში მონაწილეობის მიზნით ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევის და ამ მიზნით შექმნილი კომისიის მუშაობის წესი**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. ეს წესი განსაზღვრავს ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მიერ, საერთაშორისო სასწავლო ვიზიტებში მონაწილეობის მიზნით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული განათლების მასწავლებლების, ასევე, აღნიშნული მიზნით სააგენტოს გენერალური დირექტორის/მოვალეობის შემსრულებლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი კომისიის (შემდგომში - კომისია) მუშაობის წესს.

2. საერთაშორისო სასწავლო ვიზიტებში პროფესიული განათლების მასწავლებელთა მონაწილეობის ხარჯები შეიძლება ანაზღაურდეს „ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს გენერალური დირექტორის 2024 წლის 30 დეკემბრის N1673022 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ განათლებაში ინოვაციური მართვისა და სწავლა-სწავლების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის (შემდგომში - ქვეპროგრამა) ფარგლებში ან/და დონორული წყაროებიდან, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

**მუხლი 2. წესის მიზნები**

ამ წესის მიზანია პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით:

ა) დარგობრივი პედაგოგიკის მიმართულებით თანამედროვე ცოდნის მიღებისა და მისი კოლეგებისთვის გაზიარების ხელშეწყობა;

ბ) მასწავლებელთა დარგობრივი ქსელების (როგორც ეროვნულ, ასევე, საერთაშორისო დონეზე) გამლიერების ხელშეწყობა;

გ) პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;

დ) პროფესიულ განათლებაში ინოვაციური სწავლების მეთოდებისა და მიდგომების დანერგვის ხელშეწყობა.

**მუხლი 3. ტერმინთა განმარტება**

ა) **აპლიკანტი** - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელიც ახორციელებს პროფესიულ მოდულ(ებ)ს (გარდა დარგობრივი უცხო ენის მოდულისა) სულ მცირე ერთი პროფესიული პროგრამის ფარგლებში - ვებ ტექნოლოგიები, პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი, Front-end დეველოპმენტი, მეღვინეობა, მევენახეობა-მეღვინეობა, მევენახეობა, სასმელების წარმოება. და რომელიც დაფინანსების მიღების მიზნით, წარმოადგენს განაცხადს სააგენტოში.

ბ) **დაწესებულება** - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირი - საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელშიც დასაქმებულია აპლიკანტი სააგენტოში განაცხადის წარდგენის დროისთვის;

გ) **პარტნიორი ორგანიზაცია** - სააგენტოს მიერ შერჩეული უცხო ქვეყანაში მოქმედი დაწესებულება, რომელშიც განხორციელდება ამ წესის შესაბამისად შერჩეული პროფესიული განათლების მასწავლებლების საერთაშორისო სასწავლო ვიზიტი;
დ) **საერთაშორისო სასწავლო ვიზიტი** - ამ წესის შესაბამისად შერჩეული აპლიკანტის ვიზიტი პარტნიორ ორგანიზაციაში (ვებ ტექნოლოგიების, პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგის, Front-end დეველოპმენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის პროფესიული განათლების მასწავლებლების შემთხვევაში - ესტონეთში, ხოლო მევენახეობა-მეღვინეობის, მეღვინეობის, მევენახეობის, სასმელების წარმოების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის პროფესიული განათლების მასწავლებლების შემთხვევაში - იტალიაში), რომელიც წარიმართება სააგენტოს მიერ პარტნიორ ორგანიზაციასთან წინასწარ შეთანხმებული პროგრამის შესაბამისად და რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლების კომპეტენციების გაძლიერებას;
ე) **საერთაშორისო სასწავლო ვიზიტის ხარჯები** - ამ წესის შესაბამისად შერჩეული აპლიკანტების საერთაშორისო სასწავლო ვიზიტთან დაკავშირებული ხარჯები, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ფრენის, სასტუმროში განთავსების, კვების, უცხო ქვეყანაში შიდა გადაადგილების, სასწავლო პროგრამისა და საერთაშორისო სასწავლო ვიზიტთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს, გარდა პირადი ხარჯებისა;
ვ) **ჯგუფის კოორდინატორი** - სააგენტოს თანამშრომელი, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებელთა შესაბამისი ჯგუფის პარტნიორ ორგანიზაციაში საერთაშორისო სასწავლო ვიზიტის ორგანიზებასა და კოორდინაციას.

**მუხლი 4. საერთაშორისო სასწავლო ვიზიტებში პროფესიული განათლების მასწავლებლების მონაწილეობის მიზნით სააგენტოში წარსადგენი დოკუმენტაცია და წარდგენის ვადები**

1. საერთაშორისო სასწავლო ვიზიტებში მონაწილეობის მიზნით, 2025 წლის 01 ოქტომბრიდან 10 ოქტომბრის ჩათვლით:
ა) აპლიკანტი სააგენტოს წარუდგენს მის მიერ შევსებულ განაცხადს, ამ წესის დანართი N1-ით გათვალისწინებული ფორმით;
ბ) იმ დაწესებულების ხელმძღვანელი/ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი სადაც აპლიკანტი დასაქმებულია, სააგენტოს წარუდგენს მის მიერ შევსებულ სარეკომენდაციო წერილს, ამ წესის დანართი N2-ით გათვალისწინებული ფორმით.
2. დაწესებულების ხელმძღვანელი/ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ვალდებულია პირადად, აპლიკანტისგან დამოუკიდებლად შეავსოს სარეკომენდაციო წერილის ფორმა.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული განაცხადი წარმოდგენილ უნდა იქნეს ელექტრონულად, Microsoft-ის პროგრამის გამოყენებით.
4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული სარეკომენდაციო წერილი (დანართი N2) წარმოდგენილ უნდა იქნეს საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის eFlow-ს საშუალებით, ხოლო პროგრამის არქონის შემთხვევაში, გამონაკლისის სახით, სააგენტოს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე - info@geoskills.ge.
5. სააგენტო უზრუნველყოფს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული განაცხადის რეგისტრაციას საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში.

6. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევით სააგენტოში წარდგენილი დოკუმენტაცია, ასევე, არასრულყოფილად შევსებული დოკუმენტაცია არ ექვემდებარება განხილვასა და შეფასებას კომისიის მიერ.

**მუხლი 5. აპლიკანტთა შერჩევის ეტაპები და კრიტერიუმები**

1. აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება ორ ეტაპად: წარდგენილი დოკუმენტაციის შეფასება და გასაუბრება.

2. პირველ ეტაპზე, ფასდება აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია (განაცხადი და სარეკომენდაციო წერილი) კომისიის სამდივნოს მიერ შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

ა) წარმოდგენილია_შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის ან მისი მოვალეობის შემსრულებლის მიერ დანართი N2-ით გათვალისწინებული რეკომენდაცია;.

ბ) აპლიკანტი არის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებელი;

გ) აპლიკანტი არის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებებში ამ წესის მე-3 მუხლის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი;

3. გასაუბრებაზე დაიშვებიან მხოლოდ ის კანდიდატები, რომლებიც წარმატებით გაივლიან განაცხადების შერჩევის ეტაპს.

4. მეორე ეტაპზე, კომისიის მიერ ფასდება აპლიკანტი, შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

ა) პროფესიული განათლების მასწავლებელს პროფესიული საქმიანობის ფარგლებში ბოლო 2 წლის განმავლობაში განხორციელებული აქვს აქტივობები (ღონისძიებები, შეხვედრები, პროექტები და სხვა);

ბ) აპლიკანტს აქვს მაღალი მოტივაცია და ასაბუთებს თუ რატომ სურს მონაწილეობის მიღება საერთაშორისო სასწავლო ვიზიტში;

გ) აპლიკანტის მიერ წარმოდგენილია რეპლიკაციის აქტივობების დეტალური გეგმა და აქვს აღნიშნული გეგმის განხორციელების მზაობა;

დ) აპლიკანტისთვის გაწეული რეკომენდაცია იძლევა ნათელ წარმოდგენას მის საქმიანობაზე.

5. თანაბარ პირობებში მყოფი აპლიკანტების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება აპლიკანტს, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის ფარგლებში:

ა) თანამშრომლობს დარგთან (ბიზნესთან, ადგილობრივ, ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ასოციაციებთან და სხვა);

ბ) ბოლო 2 წლის განმავლობაში ჩართულია პროფესიული განვითარების აქტივობებში (გავლილი კურსები, ვორქშოფები და სხვა);

გ) არის ადგილობრივი ან/და საერთაშორისო ქსელების/ასოციაციების წევრი.

**მუხლი 6. აპლიკანტთა შეფასება კომისიის მიერ**

1. გასაუბრების პროცესში კომისია აპლიკანტებს მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ თითოეულ კრიტერიუმთან მიმართებით აფასებს შემდეგი სისტემით:

ა) სრული შესაბამისობა - 3 ქულა;

ბ) მეტწილად შესაბამისობა - 2 ქულა;

გ) ნაწილობრივი შესაბამისობა- 1 ქულა;

დ) არ შეესაბამება - 0 ქულა.

2. თითოეული აპლიკანტის შეფასება გამოითვლება კომისიის შესაბამისი წევრების ქულათა საშუალო არითმეტიკულით.
3. კომისიის შეფასება ფორმდება ოქმით.

**მუხლი 7. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება**
1. კომისია იღებს გადაწყვეტილებას:
ა) აპლიკანტის შერჩევის;
ბ) აპლიკანტის რეზერვად შერჩევის;
გ) აპლიკანტის შერჩევაზე უარის თქმის შესახებ.
2. შერჩეული აპლიკანტის მიერ საერთაშორისო სასწავლო ვიზიტში მონაწილეობაზე უარის თქმის, ან მონაწილეობის სხვა ობიექტური დამაბრკოლებელი გარემოების არსებობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება რეზერვად შერჩეულ აპლიკანტთაგან უმაღლესი ქულების მქონე აპლიკანტის საერთაშორისო სასწავლო ვიზიტში მონაწილედ შერჩევის შესახებ.
3. კომისიის სხდომაზე მოწვეულ უნდა იქნეს მისი ყველა წევრი.
4. კომისიის სხდომას ხელმძღვანელობს და წარმართავს კომისიის თავმჯდომარე. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
5. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის ამ მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები მიიღება კომისიის სხდომაზე დამსწრე ხმის უფლების მქონე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
6. კომისიის თითოეული წევრი უფლებამოსილია განსხვავებული მოსაზრების არსებობის შემთხვევაში, დაწეროს განსხვავებული მოსაზრება და წარუდგინოს კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს. კომისიის წევრის განსხვავებული მოსაზრება დაერთვის კომისიის სხდომის ოქმს.
7. კომისიის თითოეული გადაწყვეტილება მიიღება კომისიის სხდომის ოქმის ფორმით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და კომისიის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი.

**მუხლი 8. კომისიის სამდივნო და მდივანი**
1. ამ წესით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულებისა და კომისიის საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, სააგენტოს გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება კომისიის სამდივნო.
2. კომისიის სამდივნო უზრუნველყოფს:
ა) აპლიკანტის დოკუმენტაციის შესწავლასა და შეფასებას;
ბ) კომისიის წევრებისათვის შესაბამისი მასალებისა და ინფორმაციის დროულად და სრულად მიწოდებას;
გ) გადარჩეული აპლიკანტების გასაუბრების ჩანიშვნას/ორგანიზებას;
დ) კომისიის მუშაობის დღის წესრიგის პროექტის მომზადებას;
ე) კომისიის სხდომების ორგანიზებას და კომისიის წევრთა ინფორმირებას განსახილველად მომზადებული საკითხების თაობაზე;
ვ) კომისიის სხდომის ოქმების წარმოებას და წარდგენას სააგენტოს გენერალური დირექტორისთვის;

ზ) კომისიის თავმჯდომარის დავალებების შესრულებას.
3. კომისიის სამდივნოს საქმიანობას ხელმძღვანელობს კომისიის მდივანი. კომისიის მდივნის არყოფნის შემთხვევაში, კომისიის მდივნის მოვალეობას ასრულებს კომისიის სხდომაზე ხმათა უმრავლესობით არჩეული პირი.

**მუხლი 9. საერთაშორისო სასწავლო ვიზიტის მონაწილისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების ვალდებულებები**

1. საერთაშორისო სასწავლო ვიზიტის მონაწილე ვალდებულია:
ა) სრულყოფილად დაესწროს საერთაშორისო სასწავლო ვიზიტის ფარგლებში ორგანიზებულ ყველა ღონისძიებას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს საპატიო მიზეზი (ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, ან სხვა ობიექტური გარემოება);
ბ) მიღებული ცოდნა და გამოცდილება გაუზიაროს კოლეგებს და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პრაქტიკა დანერგოს დაწესებულებაში;
გ) უზრუნველყოს სამოგზაურო დაზღვევა საერთაშორისო სასწავლო ვიზიტის მთელი პერიოდის განმავლობაში;
დ) შეასრულოს სააგენტოსთან და დაწესებულებასთან გაფორმებული სამმხრივი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.
2. სააგენტოს, საერთაშორისო სასწავლო ვიზიტის მონაწილესა და დაწესებულებას შორის ფორმდება სამმხრივი ხელშეკრულება ამ წესის დანართი N3-ის შესაბამისად.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ყველა დაწესებულება ვალდებულია ხელი შეუწყოს აპლიკანტს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებაში, ასევე, შესაბამის აქტივობებზე დასწრებაში.
4. საერთაშორისო სასწავლო ვიზიტის მონაწილე ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული აქტივობების შესახებ წარუდგინოს ინფორმაცია სააგენტოს, შესაბამისი აქტივობების დასრულებიდან (რამდენიმე აქტივობის შემთხვევაში ბოლო აქტივობის დასრულებიდან) 10 სამუშაო დღის ვადაში.
5. აპლიკანტი, რომელიც არ შეასრულებს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, არ არის უფლებამოსილი მომდევნო სამი წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღოს სააგენტოს მიერ ორგანიზებულ სხვა საერთაშორისო სასწავლო ვიზიტებში.

**მუხლი 10. სააგენტოს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები**

1. ამ წესის მე-2 მუხლით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად სააგენტო უზრუნველყოფს:
ა) აპლიკანტთა შერჩევას;
ბ) პარტნიორი ორგანიზაციების მოძიებასა და საერთაშორისო სასწავლო ვიზიტების პროგრამის (შინაარსის) განსაზღვრას;
გ) პროფესიული განათლების მასწავლებელთა და ჯგუფის კოორდინატორთა, ასევე, საჭიროების შემთხვევაში თარჯიმნის საერთაშორისო სასწავლო ვიზიტის ხარჯების ანაზღაურებას;
დ) საერთაშორისო სასწავლო ვიზიტის ორგანიზებისთვის აუცილებელი სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებას;
ე) საერთაშორისო სასწავლო ვიზიტის მონაწილეთა ხელშეწყობას რეპლიკაციის ღონისძიებების განხორციელებაში;

ვ) მოძიებულ პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებას.
2. ამ წესის მე-2 მუხლით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად სააგენტო უფლებამოსილია:
ა) საქართველოში მოიწვიოს უცხოელი ექსპერტები და აანაზღაუროს მათ მოწვევასთან (ფრენის, ჰონორარი, კვების, განთავსების და სხვა) და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებასთან დაკავშირებული ხარჯები;
ბ) მოიძიოს დონორი ორგანიზაციები, რომელიც სრულად ან ნაწილობრივ უზრუნველყოფენ ამ წესით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსებას ან/და სხვაგვარად შეუწყობენ ხელს მათ განხორციელებას.
3. ჯგუფის კოორდინატორი ვალდებულია უზრუნველყოს:
ა) მისთვის გადაცემული თანხის მხოლოდ მიზნობრივი ხარჯვა, დადგენილი ლიმიტის ფარგლებში;
ბ) საერთაშორისო სასწავლო ვიზიტის მონაწილეების კოორდინაცია და ტექნიკური მხარდაჭერა;
გ) საერთაშორისო სასწავლო ვიზიტთან და გახარჯულ ფინანსურ სახსრებთან დაკავშირებით სააგენტოს გენერალური დირექტორისთვის ანგარიშის წარდგენას, საერთაშორისო სასწავლო ვიზიტის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

**მუხლი 11. ინფორმაციის საჯაროობა**
ამ წესის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის უზრუნველყოფს სააგენტო.